სამშაბათი, აგვისტოს 5 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 142

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე.

**რედაქცია**

**სამაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

გაუბედურებული მეუღლე ლიდა გაბრიელის ასული შვილით ნინუსით, გულდათუთქულნი დედა ელისაბედ ნიკოლოზის ასული, ძმები: გრიგოლი, ლადო, ალიოშა და შალვა, დები: ნადია ნიჟარაძისა შვილით—სოსოთი, ოლია ხეჩინოვისა, თამარა და ელიკო; რძალი მარგალიტა სამსონის ასული და სიძე ნიკოლოზ ხეჩინოვი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ ქ. ბათომში ვერაგულათ მოკლეს.

## კონსტანტინე ეგნატეს ძე ნარსია

რომლის გამოსვენება ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია ხუთშაბათს 7 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე 6 ნახ. საათზე.

**კერძოთ ბარათები არ დაიგზავნება.** 3—1

---

გულდაწყვეტილნი ბიძა იონა ნიკოლოზის ძე ბიცოლა ნინა დავითის ასული და ბიძაშვილი ქეთო იონას ასული ჭითავები აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი

## კონსტანტინე (კოწია) ეგნატეს ძე ნარსიას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 7 აგვისტოს ნაშუადღევს 4 ნახ. საათზე პოდგორნი ქუჩა პანაშვიდი ყოველ დღეს 6 ნახ. საათზე.

3—1.

---

ბიძები გერასიმე და არსენ ნიკოლოზის ძენი და ბიცოლა მაგდანი იონას ასული ფოჩხუები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ მათი საყვარელი

## კონსტანტინე |კოწია| ეგნატეს ძე ნარსიას

ქ. ბათომში ტრაღიკულად დაღუპვას გამოსვენება საკუთარი სახლიდან ხუთშაბათს 7 აგვისტოს საღამოს 4 ნახ. საათზე პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათზე.

3—1.

---

ღრმად დამწუხრებული სერაფიონ ნიკოლოზის ძე ფანცულაია და მეუღლე მისი მარიამ ივანეს ასული აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ, ნათესავთ და მის მოსამსახურეებს, რომ 1 აგვისტოს ბათომში ტრაღიკულად გარდაიცვალა მისი ბიძაშვილი

## კონსტანტინე ეგნატეს ძე ნარსია

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—1

---

გულდამწვარი ბიძა ესტატე და ბიცოლა მაშო ფოჩხუები, შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. ბათომში ტრაღიკულად გარდაიცვალა

## კოწია ეგნატეს ძე ნარსია.

დაკრძალვა 7 აგვისტოს. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 ნახ. საათზე. 2—1

---

გულ დამწვარი დეიდა აკვილინა ნიკოლოზის ასული და დეიდაშვილი გრიგოლ ფილიპეს ძე კაჭარავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ

## კონსტანტინე |კოწია| ეგნატეს ძე ნარსიას

ვერაგულათ მოკვლას. გამოსვენება 7 აგვისტოს დღით ხუთშაბათს 4 ნახ. საათზე პოდგორნი ქუჩა. პანაშვიდი ყოველ დღეს 6 ნახ. საათზე. 1—1

---

**დავკარგე** ამას წინათ „პასპორტი" **ალბერტო არენულს** სახელობაზე. მპოვნელს ვსთხოვ მოიტანოს „ძმობის" სტამბაში, რაზედაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ვაცხადებ.

---

## განცხადება.

ქუთაისის მაზრის ნაფიც-მსაჯულთა საერთო სიის შედგენა უკვე დამთავრდა და თანახმად ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დებულების მე-6 და 7 მუხ., 1 მარიამობისთვიდან ორი კვირის განმავლობაში დილის 8—1 საათამდე ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, თუ ვინმე უკანონოთ არის შეტანილი, ან გამოტოვებული სიაში, განცხადება საფუძვლიანი წარადგინოს სამაზრო ერობის იურიდიულ განყოფილებაში საქმის მწარ. მიხ. ბოკერიასთან,

**ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა.** 3—1

---

## განცხადება.

ქუთაისის სამაზრო. ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხონის რკინის გზის ტელეგრაფის საჭიროებისათვის უნდა დამზადდეს ბოძები აჯამეთში (ყოფილ ანანოვის მამულში).

და ამის გამო **კვირას, 10 მარიამობისთვეს** დილის 11 საათზე სამაზრო ერობის კანცელარიაში დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

უნდა დამზადდეს და ჩამოტანილ იქნას ქუთაისში:

ბოძი . . . . . . . . . . . . . . . 1000 ცალი

შემდეგი ზომის: სიგრძე . . . . . . . . 11 არშინი

სისხო ზევით ბოლოში 3—4 ვერშოკამდე.

სიბრუნდე . . . . . . . 1—4 ვერშოკამდე.

განცხადება უნდა შემოტანილ იქნას ერობის კანცელარიაში საკონტროლო კომისიის მდივანთან **მიხ. ბოკერიასთან**, არა უგვიანეს პარასკევისა 8 მარიამობ. დახურულ კონვერტში და გარკვეულათ აღნიშნული თუ რა ფასში ღებულობთ ბოძის გამზადებას და მის ქუთაისში ჩამოტანას.

ყოველ გვარი ცნობისთვის საჭიროა მიმართონ ერობის უფროს ინჟინერს **ჩხეიძეს.** —

საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე **მ. გავაშელი.**

მდივანი: **მ. ბოკერია.** 2—1

---

## ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

---

## ექიმი ვ. ი. მაჭავარიანი.

იღებს სამშობიარო, ქალთა საშარდე მილის და ვენერიული სნეულების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ.

მისამართი: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24—1

გულდათუთქული მშობლები პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძე და მეუღლე მისი ლიუბა ალექსის ასული თვალჭრელიძისა, დანი და ძმა: თამარ, მარო, თინა და არჩილ თვალჭრელიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის დაუვიწყარი

## შოთას

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება ქალაქის საავადმყოფოდან საკუთარ ბინაზე (ლევაშოვის ქუჩა) დანიშნულია სამშაბათს, 5 აგვისტოს (ახ. სტ.), დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათსე, ხოლო გამოსვენება და დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე ამავე დღეს საღამოს 6 საათზე. 1—1

ღრმად დამწუხრებული დეიდა ნადეჟდა ალექსის ასული კვინიხიძისა და და ბიძა ბესარიონ მათეს ძე კვინიხიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის ძვირფასი

## შოთა თვალჭრელიძის

ტრაგიკულად გადაცვალებას, რომლის გამოსვენება ქალაქის საავადმყოფოდან საკუთარ ბინაზე (ლევაშოვის ქუჩა) დანიშნულია სამშაბათს, 5 აგვისტოს (ახ. სტ.) დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე, ხოლო გასვენება და დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე ამავე დღეს საღამოს 6 საათზე.

1—1

# ქუთაისი, აგვისტოს 5.

**დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებისათვის.**

საქართველოს უმაღლესი ორგანო, დამფუძნებელი კრება, რომელიც გამომხატველი უნდა იყოს მთელი ერის სურვილების და მისწრაფებისა, არჩეულია ქართველი ერის მხოლოდ ორი მესამედისაგან.

ქართველ ხალხს —დემოკრატიას ცუდ პირობებში მოუხდა დამფუძნებელი კრების არჩევნები.

იმ დროში ერთის მხრით დენიკინის წინააღმდეგ გვიხდებოდა ბრძოლა, საითკენაც იყო მიქცეული მთელი ჩვენი ყურადღება; მეორეს მხრით მთელი მესხეთჯავახეთი [illegible] ბეგ ქობლიანელის ბრბოებს, სადაც არჩევნების მოხდენა შეუძლებელი შეიქნა.

მუხანათი მტრის სომხების წყალობით ბორჩალოს მაზრაში ნორმალური ცხოვრების აწეწის გამო, ბორჩალოც არჩევნებს გარეთ დარჩა. მთებში კი, როგორიც არის—სვანეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი, დიდი თოვლის გამო შესვლა შეუძლებელი იყო.

ამ რიგად გარეშე მტრების თავდასხმამ თუ შინაურმა შეუძლებლობამ ქართველი ხალხის ერთ მესამედზე მეტს საშუალება მოუსპო თებერვლის არჩევნებში მონაწილეობა მიეღო.

იმ ადგილებში კი—სადაც არჩევნები მოხდა, მართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოიყენა რესპუბლიკის მთავრობის და ადმინისტრაციის ძალა და კერძო საკუთრების პრინციპებზე მდგომ ქართველ ხალხს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატების სიებისათვის მიაცემია ხმა.

ამ არა ბუნებრივმა მოვლენამ თვით სოციალ - დემოკრატებიც კურიოზულ მდგომარეობაში ჩააგდო და დამფუძნებელი კრება შეიქნა მთავარი კომიტეტი მართველი პარტიისა.

არჩევნების ასეთი შედეგი როგორც ვსთქვით იმან გამოიწვია, რომ მართველმა პარტიამ აამოქმედა ძალები როგორც ცენტრში ისე პერიფერიებში. ერთის მხრით ძალდატანებამ და მეორე მხრით ხალხს რომ ატყუილებდენ ჩვენც კერძო საკუთრების დამცველები ვართო, იმათ გაამარჯვებინა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ თვით დამფუძნებელმა კრებამ ვერ გაამართლა ნდობა ამომრჩევლების, ქართველი ხალხის, ქართველი დემოკრატიის...

ჩვენ და მთელი ხალხიც დღეს ნათლად ჰხედავს თუ როგორ ასრულებს სოც. დემოკრატიული უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში იმ დანაპირთ, არჩევნების დროს ხალხს რომ ეფიცებოდენ.

დღეს დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებიც მოახლოვდა.

10, 11 და 12 აგვისტოს იმ ადგილებში, სადაც თებერვალში არჩევნები არ მომხდარა დამატებითი არჩევნები შესდგება.

ს. დემოკრატიული პარტია თავის ძალებს კიდევ აამოქმედებს და შეეცდება, რომ დამფუძნებელ კრებაში სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელნი არ მოხვდენ, მაგრამ ამომრჩევლებს აქ მართებსთ დაკვირვება. განსაკუთრებით ჩვენი პარტიის თანამგრძნობლებმა მთელი თავისი ენერგია უნდა მოიკრიბონ და უნდა გაილაშქრონ მრთველი პარტიის საარჩევნო კომპანიის წინააღმდეგ.

თუ საქართველოს ცენტრი შეცდა, რასაც ეხლა თვითონაც გრძნობს, სვანებმა, მესხ-ჯავახელებმა, მოხევეებმა და თუშ-ფშავ-ხევსურებმა მაინც უნდა შეიგნონ პოლიტიკა ს. დემოკრატიული პარტიისა და მათ ზურგი შეაქციონ.

საქართველოს ბედი ბეწვის ძაფზე ჰკიდია და სოციალისტური პარტიები კიდევ თუ გაძლიერდენ ჩვენში, მათი სიმძიმე ამ ძაფს გასწყვეტს და ჩვენს ქვეყანასაც კისერი მოეგრიხება.

საქართველოს დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებით დამფუძნებელ კრებას ფერი უნდა შეეცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უმრავლესობის სოციალისტური პოლიტიკა დღეს რომ დაღმართისაკენ მიაქანებს თავისუფალ საქართველოს, ამ თავისუფლებას საფრთხეს მოუმზადებს.

## რა მიზეზია?

ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ზრდა, მისი ეკონომიური კეთილდღეობა დამყარებულია სწავლა-განათლების საქმეზე და საერთოდ კულტურულ დაწესებულებებზე. ეს აქსიომაა, ისეთი ჭეშმარიტება, რომლის შესახებ ორი აზრი არ გამოითქმის...

ახალთაობის აზროვნული ჰორიზონტები ფართოვდება ვითარდება ორ სფეროში; ესაა შკოლა ერთის მხრით და მეორე—თვით საზოგადოება.

აქედან ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელსაც სურს ჰყავდეს მრავალი სასარგებლო მოქალაქე, აღჭურვილი ნამდვილი განათლებით, ვალდებულია მიიღოს ყოველნაირი ზომები სწავლა-განათლების გასავრცელებლად ფართო მასაში, იგი მოვალეა აღზარდოს ახალი თაობა რაციონალურად მოწყობილ შკოლებში, ასეთი შკოლები გამოზრდიან შეგნებულ მოქალაქეს და მისცემენ მას ისეთ მეცნიერულ ცოდნას, რომელიც მას ცხოვრებაში გამოადგება, გარდა ამისა იგივე განმანათლებელი დაწესებულებები გააკეთილშობილებენ თავიანთ მოწაფეს ჭეშმარიტი მოქალაქეობის გრძნობით..

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ მხრივ ქართველი ერი მეტად დაბლა დგას.. არსებული შკოლები მოწაფეს არ აძლევდენ თითქმის არავითარ ცოდნას და აქ არ ვითარდებოდა მისი გონება. შკოლის დატოვების შემდეგ უმრავლესობას ისიც კი ავიწყდებოდა, რაც ვაი-ვაგლახით ისწავლა 3 - 4 წლის განმავლობაში.

ასეთია ბედი სოფლის შკოლების მრავალრიცხოვან მოწაფეთა, უმრავლესობა უსწავლელია და ბრიყვი აი ამ სიბრიყვის, და შეუგნებლობის ნაყოფს ეხლა ჩვენ ცხადად ვხედავთ საკუთარ თვალით..

ფრანგებს უყვართ ერთი ანდაზა: მუსიკას ტონი აკეთებსო..

დიახ, ეს სრული ჭეშმარიტება!.

სწორედ ამ ბოლო დროს ჩვენ ცხოვრებაში ისმის მეტად ყალბი ტონი; უმრავლესობა ასეთ გზას დაადგა, რომელმაც შეიძლება უფსკრულთან მიგვიყვანოს.. ეს ყალბი ტონი ქართველის შორის განახლებულ ურთიერთობას არა სასურველ ელფერს აძლევს..

თქვენ წინაშე იშლება ასეთი გულშემზარავი სურათი:

ვერ აიღებთ ხელში ვერც ერთ გაზეთს, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, რომ იქ არ იყოს აღნიშნული რაიმე ბოროტ-მოქმედება. იგი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და თითქო ყურსაც არავინ იბერტყავს მის აღმოსაფხვრელად. სოფელში დაპარპაშობენ ადგილობრივი ნაძირალები, ცარცვა გლეჯას არ სჯერდებიან, ცოცხალ ადამიანს იტაცებენ; ხშირად კაცის კვლაც ხდება.. ასეთ ბოროტების მოსპობა ადგილობრივ მოხელეებს სამწუხაროდ არ შეუძლიანთ.. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ სოფლის ადმინისტრაც უმეტეს შემთხვევაში უვარგისი გამოდგა. თავი დავანებოთ სოფელს. ასეთივე ამბები ხდება დაბა-ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში და ქუთაისში. ადგილობრივი სატუსაღოები სავსეა; ქუთაისში მაგალითად ნახევარზედ მეტი შაქრის ქურდები ეგრედ წოდებული „შაქრისტები" სხედან.

ცარცვა გლეჯა არსებობს ფოსტის და რკინის გზაზედაც. გახშირდა ყოველ ნაირი ღლეტვა და სპეკულაცია. აი ასეთია ყოველდღიური თანამედროვე ცხოვრების სურათი. და განა ამ პირობებით შესაძლებელია რაიმე კეთილი საქმის დაწყება?..

როდემდის უნდა იყვეს ასე?. სადაა ის ნამდვილი საშუალება, რომელიც ამ ბოროტებას ძირიან-ფესვიანად მოსპობს?

დიახ, არის ისეთი საშუალება...

ნუ მივეცემით სასოწარკვეთილებას. ეს ის საშუალებაა, რომლითაც ხელმძღვანელობს და წინადაც ხელმძღვანელობდა განათლებული ქვეყნები. ესაა სწავლა-განათლების გავრცელება, დროის შესაფერად მოწყობილ ყოველივე ტიპის შკოლების დაარსება.

ამ მხრივ ჩვენ ძალიან ცოტას ვზრუნავთ და ცოტასაც ვაკეთებთ.

ჩვენში უდიდეს რეფორმად მივაჩნია არა აჩქარებული მიწის რეფორმა, რომელმაც, შეიძლება უფრო არივ-დარიოს საქმე, არამედ **სწავლა-განათლების სრული დემოკრატიზაცია:**

იქ, სადაც 150 კაცში მხოლოდ 20 იცის წერა-კითხვა; იქ, სადაც მდიდარს გლეხს ცხვირიდან ცინგლი ჩამოსდის და ხელსახოცის ყიდვა ეზარება, რადგან ფულის დახარჯვა ენანება; იქ, სადაც სიტყვა „ტუტუტი" საშიშ რამედ მიაჩნიათ, იქ სადაც ტეტია გლეხი (განსაკუთრებით ქართ-კახეთში) ვითომ და ახალ მოძღვრებას მისდევს და თან ყველას მოწიწებით ეკითხება. „განა უმეფობა შეიძლებაო?"—ასეთ ხალხს, ვიმეორებ, წინსწევს მხოლოდ სწავლა-განათლება... აი ამას უნდა მივაქციოთ ჩვენ განსაკუთრებითი ყურადღება, თორემ სხვა საქმესა რას არგებს [illegible] ნანი...

„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი...
სხვას ყველას მახე უგია, თავისი გასაყოფელი...
და თუ კაცს ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთი სოფელი"

ეს სიტყვები დავ. გურამიშვილისა ყველას გვახსოვს, ყველას გვესმის სწავლის მნიშვნელობა, მაგრამ საქმით კი ძალიან ცოტას ვაკეთებთ!..

ნეტა რა მიზეზია?..

ლ. გარსევანიშვილი.

## პრესა.

გაზეთი „ერთობა" თავის მეთაურში ეხება დღეს დღეობით ჩვენთვის მთავარს, სასურსათო საკითხის მოგვარებას, რომლის სათანადო გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის სიცოცხლე.

შარშან სასურსათო კრიზისმა მეტად შეავიწროვა ხალხი. წელს მოსალოდნელია უფრო მეტი კრიზისი, რაც ძლიერ აუტანელ სიმძიმედ დააწვება ისედაც ყოველმხრივ შეწუხებულ მოქალაქეს, თუ მთავრობამ რადიკალური ზომები არ მიიღო ხალხის გამოსაკვებად. რადგან ჩვენ საზღვარ-გარეთ გასატანი პური არ მოგვდის, მასზე მონოპოლიის გამოცხადებაც ზედმეტია, რომ სპეკულისტებმა არ ჩაიგდოს ხელში გლეხებისგან ზედმეტი პური, საჭიროა მთავრობამ მტკიცე გადაწყვეტილ ფასებში შეიყიდოს სოფლებში ეს ზედმეტი პური ნებაყოფლობით და თანდათანობით გაუშვას ბაზარზე. ეს იქნება ერგვარი მონოპოლია.

მაგრამ მთავრობას დღემდი არ შეუქმნია ერთი მთლიანი მტკიცე ორგანიზაცია; ეს ათასნაირი სხვადასხვა ორგანიზაციები და ერობები ხელს უშლიდენ ერი კუთხიდან მეორე კუთხეში სურსათის გატანას და მის წესიერად განაწილებას.

მთავრობამ ვერ მოაწყო აქამდე ბეღლები, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო ერთ მთავარ ცენტრში პურის დაგროვება და წელსაც მოსალოდნელია ამ მხრივ მთავრობის სახელმწიფო აპარატის მუშაობის დამარცხება.

გაზეთი ამბობს:

„უპირველეს ყოვლისა ხორბლითა და სიმინდით უნდა იქნას ავსებული ის საფასური, რომელიც სახელმწიფოს ერგება ფონდის მიწებზე; შეიძლება გადასახადებიც პურით ავილოთ, სადაც ფულის გაღება ეძნელებათ; ქალაქის და ერობის შეერთებულმა ძალამ უნდა შექმნას ერთი ცენტრი, რომელიც მთავრობის დახმარებით სოფელში არსებულ ფასებში შეიყიდის ხორბლის და სიმინდის დიდ პარტიებს და შემდეგ სპეკულიანტების ალაგმვას შეუდგება".

საფონდო მიწების შეკრებილი სურსათის რაოდენობა საქართველოს მდგომარეობას სურსათის კრიზისის შესახებ ვერ გამოაგვარებს. და ერობებმა თვითეული მაზრის საზღვრები თუ გაამაგრა და მთავრობას არ დაემორჩილა, ვერას გახდება „ერთობის" პუბლიცისტები, რაც უნდა იყვირონ და ყოველ დღიურად სწერონ თავის „იაფ-ფასიანი" გაზეთის ფურცლებზე.

## უკანასკნელი ცნობები.

**სომხები ოლთისის ოლქში.**

„აშხატავორის" ცნობით ინგლისელთა სარდლობას სომხეთის მთავრობისათვის წინადადება მიუცია, ოლთისის ჩრდილო ნაწილი დაიკავეთო.

**სტამბოლში.**

სტამბოლში მღელვარება არა ცხრება სხვა და სხვა პოლიტიკური ჯგუფები დიდ აგიტაციას ეწევიან ეხლანდელი მთავრობის წინააღმდეგ და ხალხს ამხედრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ. იმართება დიდი მიტინგები, რომლებსაც ებრძვის პოლიცია და უცხო სახელმწიფოთა ჯარი. პრესა ემდურის დიდ ვეზირს, რომელსაც აბრალებენ ვერსალის კონფერენციის მიერ წარმოდგენილ საზავო მემორანდუმის ნამდვილი ტექსტის ხალხისთვის დამალვას.

**ჩვენი დელეგაცია ამერიკელებთან.**

ფრანგულ გაზ. „ჟურნალ დ ორიანტ“-ის ცნობით პარიზში მყოფმა საქართველოს საზავო დელეგაციამ ინახულა ამერიკის დელეგაცია, რომელსაც დაწვრილებით გააცნო ფაქტები საქართველოს მდგომარეობისა და დამოუკიდებლობის შესახებ. ამერიკის დელეგაციის წევრმა პოლკოვნიკმა ჰაუზმა აღუთქვა მათ, რომ ამერიკელები ყოველგვარ ღონეს იხმარენ მოაგვარონ საქართველოსა და მოხალისეთა შორის სადავო საკითხები, საქართველოს მოხსნან ბლოკადა, დაიცვან საქართველოს ხელშეუხებლობა ვიდრე ამ საკითხს პარიზის საზავო კონფერენცია საბოლოოდ არ გადასწყვეტს.

**შეიხის გამარჯვება.**

დაღესტნის შეიხ ულ-ისლამმა დიდ ძალი ჯარი შეაგროვა მოხალისეთა წინააღმდეგ საბრძოლველად და მათის გასანადგურებლად. ამ დღეებში მისმა რაზმებმა თემირ-ხან-შურასთან ბრძოლა გაუმართეს მოხალისეებს და გაანადგურეს ყაზახთა მეოთხე სუნჟენის პოლკი, რომელიც იქ „დასამშვიდებლად“ იყო გაგზავნილი.

**სპარსეთში.**

სპარსეთის ზოგიერთი პროვინციები ქურთებმა დაიჭირეს. ქალაქი ქოი, სალმასტი და ურმია ამ ჟამად ქურთების ხელშია იმყოს მეთაურობით.

**მამისონის უღელტეხილის უკან აღება.**

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ონის ხეველე შტაბიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ პარასკევს, აგვისტოს 1-ს დილის 1 საათზე ჩვენებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ უკანვე აიღეს მამისონის უღელტეხილი.

**კოზი-კოხის მთის აღება.**

ონიდანვე ამავე გვარდიის შტაბს დეპეშით ატყობინებენ, რომ პირველ აგვისტოს ჩვენს სანაპირო რაზმის შტაბს კაპიტან გამყრელიძის მეთაურობით კონტრ შეტევით აუღია კოზი-კოხის მთა.

**მამისონის უღელტეხილის გაწმენდა ბანდებისაგან.**

საქართველოს არმიის გენერალური შტაბი იუწყება: აგვისტოს პირველს მამისონის უღელტეხილი და მის ირგვლივ მდებარე მიდამოები ჩვენ გავწმინდეთ ოსების ბანდებისაგან.

## ფრანგული პრესა.

(საქ. დეპ. სააგენტო)

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო განაგრძობს ბულგარეთის ხელშეკრულების პირობათა, განსაკუთრებით წყლის გზების შესახებ დამუშავებას განაგრძობს. უმაღლესი საბჭო შეუდგა ესტონიის საქმეების განხილვას.

რუმინელ ცნობებით, ბელაკუნის წითელი ჯარს მთელ ფრონტზე უკან დაუხევიათ. მათ რუმინელები სდევნიან და მდინარე ტისაზე უწესრიგოთ გადადიან, ტოვებენ სამხედრო მოწყობილებას და ბევრ ტყვეებს: ბელაკუნმა სცადა მოკავშირეებთან მოლაპარაკების და წინადადება მისცა, რომ ის გამოვა მთავრობის შემადგენლობიდან.

## ინგლისური პრესა.

ინგლისურ ოფიციალურ წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად საზავო კონფერენციაზე დაბრკოლებები იზრდება; აზიის ერთ ნაწილს ნამდვილი ანარქია მოელოდა. ოსმალები სპარსელების დახმარებით სარწმუნოებრივ ომის დაწყებას ფიქრობენ. ტრაპიზონის ახლო თავმოყრილია ოსმალეთის ყოფილ მეცხრე არმიის 6 დივიზია, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოკავშირეთა ჯარების სიმცირის გამო. მდგომარეობას უფრო ართულებს ოსმალეთის მთავრობის უძლურება სტამბოლში. როგორც სჩანს მცირე აზიაში დაწყებულ უწესოების შესახებ მიღებულ ცნობის გამო იგი დაიბნა. ამას გარდა კოლჩაკისაგან მიღებულ ცნობებით, ფინეთის ჯარი მთავრობაში მომხდარ ცვლილებათა გამო ისევ უკან იხევს. პეტროგრადის აღებას ახალი დაბრკოლებები ელობება წინ და თუ ფინების განწყობილება არ შეიცვალა და თუ კოლჩაკმა არ იკისრა ამ გეგმის განხორციელება, პეტროგრადის აღებაზე ხელი უნდა აიღონ.

ამავე დროს კონფერენციას საფუძველი აქვს იფიქროს, რომ უნგრეთში მდგომარეობა უმჯობესდება. არის იმის ნიშნებიც, რომ ბელაკუნი მალე იქნება გადაყენებული. ავსტრიის კაბინეტიდან ბაუერის წასვლაც კარგ გავლენას მოახდენს მოლაპარაკებაზე. მას ყოველთვის ისე უყურებდნენ, როგორც პანგერმანისტს, რომელიც სხვებთან ერთად მომხრე იყო გერმანიასთან ავსტრიის შეერთებისა.

რუსეთის ჩრდილოეთის არმიამ მოკავშირეთაგან ბალტიის ნავთსადგურებით მიიღო: ტანკები, თოფები, ამუნიცია და სურსათი, მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს დახმარება ჩრდილოეთის არმიას საშუალებას არ მისცემს სხვის დაუხმარებლად პეტროგრადი აიღოს.

## მამისონის უღელტეხილის უკანვე აღება.

სახალხო გვარდიის შტაბს ონიდან ატყობინებენ, რომ პარასკევს 1 აგვისტოს ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენებს მამისონის უღელტეხილი აუღიათ.

## მთა კოზი-კოხის აღება.

ონიდანვე სახ. გვარ. შტაბს ატყობინებენ, რომ ჩვენებს შტაბს კაპიტან გამყრელიძის მეთაურობით კონტრ-შეტევით, 1 აგვისტოს ნაშუაღამევის 1 საათზე უკანვე აუღიათ მთა კოზი-კოხი.

# ახალი ამბავი

**ქუთაისი.**

**სალამო-სეირნობა.** გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ სასარგებლოდ სალამო-სეირნობა საზაფხულო საკრებულოში გაიმართება შაბათს 9 აგვისტოს. ამ სალამოისათვის თბილისიდან მოწვეულნი არიან სხვათა შორის ცნობილი მომღერალი ინაშვილი და თარხნიშვილის ასულთა ხორო.

✦ **ეკლესიების და მონასტრების დათვალიერება.** ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც მთავრობისაგან დავალებული აქვს ინახულოს ქალაქებისა და სოფლების ეკლესიები და მონასტრები მათში არსებული ძვირფასეულობის აღსანიშნავად. ბ-ნი თაყაიშვილი უკვე შეუდგა თავის დავალების აღსრულებას და ათვალიერებს ეკლესიებს საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის ბ. ტრიფონ ჯაფარიძის და ერობის წარმომადგენელის ვასილ ფალავანდიშვილის თანდასწრებით.

✦ **კონცერტი.** ოთხშაბათს, აგვისტოს 6-ს მუშათა კლუბში გაიმართება დიდი კონცერტი ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის სასარგებლოდ. პროგრამა: სოლო, სიმებიანი ორკესტრი, პიანინო, სიმღერა, ხორო.

✦ **ქალაქის სასამართლო უბნებად დანაწილება.** ქალაქის საბჭო ახლო მომავალში განიხილავს საკითხს ქალაქ ქუთაისის სამოსამართლო უბნებად დანაწილების შესახებ. განზრახულია სულ ქალაქი დაიყოს 5 სამოსამართლო უბნად.

✦ **მკვლელობა.** ელიობას, ორ აგვისტოს, სოფელ ჰოგნარში დღეობაში მისულმა შოთა თვალჭრელიძემ (პოეტ ცახელის შვილმა) მოკლა მილიციონერი, როდესაც მან უკანასკნელმა მოთხოვა იარაღის ახსნა. სხვა მილიციონერებმა შემდეგ მოკლეს თვალჭრელიძე და მასთან მყოფი მარგველაშვილი. გვამი თვალჭრელიძის ძლიერ დასახიჩრებულია სოფლელების მიერ.

## ანატომიის ტერმინები.

თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტმა უკვე გამოსცა ნორმალური ანატომიის ქართული ტერმინები.

ეს—დიდი ღვაწლია. მაგრამ აუცილებელია ყოველგვარი შეცდომა დასაწყისშივე გავასწოროთ. თვარა, როდესაც ტერმინი ერთხელვე დაიბუდებს, ბინას გაიჩენს, ძნელი იქნება შემდეგ მისი გაძევება.

მოვალედ ვთვლით თავს აღვნიშნოთ ხსენებული ტერმინოლოგიის ზოგიერთი შეცდომა და შეუსაბამობა.

1) მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვა სიტყვისაგან „ძალა“ იქნება: „ძალათა“ და არა „ძალთა“; მაშასადამე უნდა ითქვას: „ძალათაშორისი“ და არა „ძალთა შორისი“.

2) არ შეიძლება ითქვას: „რქისებრი“, „სხივისებრივი“, „დვრილისებრივი“ და სხ., არამედ უნდა ითქვას: „რქისებური“ ანუ „რქებრივი“, „სხივისებური“ ანუ „სხივებრივი“, „დვრილისებური“ ანუ „დვრილებრივი“—იმისდა მიხედვით, რას გულისხმობს თვითეული ხსენებული ტერმინი. ასე ძველს მწერლობაში და ამასვე მოითხოვს გრამატიკა.

3) გვერდის ძვალს ქართლში უწოდებენ „ნეკნს“, იმერეთში „გვერდის წკნელს“. ვფიქრობ, რომ „ნეკნს“ „წიბო“ სჯობია. სხვათა შორის ს. სულ. ორბელიანის ლექსიკონში სულ არ არის ნახსენები „ნეკნი“.

4) „ტუბერკულუმ“ ლათინური სიტყვაა, რომელიც ნიშნავს ქართულად არა „ხორკლს“, არამედ „კორძს“. „ხორკლი“ ნიშნავს იმას, რასაც რუსულად ეწოდება „შეროხოვატოსტ“, ლათინურად „ასპეროზიტას“.

5) ყოვლად შეუწყნარებელია „გვირგვინოსანი“ ძარი; გვირგვინოსანი შეიძლება იყოს მხოლოდ გამარჯვებული კაცი ანუ მეფე. უნდა ითქვას „გვირგვინებრივი ძარი“.

6) „სეპტუმ“, რუსულად „პერეგოროდკა“, ქართულად არის „შუაზღუდე“. ეს ტერმინი სჯობს „ტიხარს“.

„ვილლი ინტესტინალეს“ არ ნიშნავს „ხაოებს“ არამედ ნაწლევის „წვერებს“.

8) ცხვირის გასავალი შეიძლება იყოს „საერთო“ (კომმუნის) და არა „ზოგადი“,

9) ხმისან სიმს სჯობია „სახმო“ სიმი.

10) „პარიეტალური პლევრა“ ქართულად არის „კედლის პლევრა“ და არა „კედლის ამყოლი პლევრა“.

11) „სეკრეციას“ ეწოდება ქართულად გამოთხევა, „სეკრეტორულ“ ორგანოს „გამომთხეველი ორგანო“. ავტორს კი ლათინური ტერმინი ქართულად ვერ უთარგმნია.

12) შუა ყურის ერთს პაწაწა ძვალს ეწოდება „კვერი“ და არა ჩაქუჩი.

13) „ფისსურა“ არის ქართულად „ბზარი“ და არა „ნაპრალი“, ეს, ვფიქრობ, დიდი შეცდომაა. თუ ნაპობი დიდია, მაშინ ნაპრალს ნაპობი სჯობია.

14) „არტიკულაციო“ ქართულად არის „სახსარი“. ეს სიტყვა სჯობს „თანასოვნებას“.

15) „სუტურა“ შეიძლება გადითარგმნოს „ნაკერადაც“ და „ჭდედაც“.

16) „ლიგამენტა ინტერარტიკულარია“-ს უწოდებს იოანე პეტრიწი: თანაშემკვრელთ“. ვფიქრობ, რომ ეს ტერმინი სჯობს „იოგებს“.

17) „სტერნუმს“ სჯობს ვუწოდოთ არა მკერდი, არამედ „მკერდის ფიცარი“ (ხალხი უწოდებს გულის ფიცარს).

18) ბეჭის უკანა პტყელს, გარდიგარდმო გორჩს ეწოდება „ბეჭის ფრთა“.

19) „მუსკულს“ უნდა ეწოდებოდეს მუსკულიცა და „კუნთიც“.

ექიმი ვასილ წერეთელი.

## პატარა ფელეტონი.

**სიზმარი.**

„ერთხელ, მხოლოდ ისიც ძილში“,
სამოთხისა კარი ვნახე;
შიგ შესვლა და მისი ნახვა
წამსვე გულში განვძრახე...

შიგ შეველი... [illegible]
საარაკო ტურფა მხარე;
ნაირ ნაირ ყვავილებით
ფერადებდა არე-მარე.

—

მიმოვავლე გარს თვალები:
გულში ვარდი გამეშალა!
წამს „ოცნების სამეფოზე“
ტრფობის ალი ამეშალა...

—

თავი ვანდვე ნეტარებას
და სევდები უკუ-ვყარე:
ჩემი ქვეყნის სივაგლახე
დავიწყებას მივაბარე...

—

ტრფობის ალმა გამიტაცა,
სიხარულის ცრემლი ვღვარე,
რა რომ მისი ყველა კუთხე
მე სავსებით დავიარე...

—

საამური იის სუნი
მთელ მიდამოს ეღლებოდა!..
ვარდს ყვავილი, იას ვარდი
ეკვროდა და ეხვეოდა

—

დილის სიო ოდნავ ქროდა,
მეტყველებდა არე-მარე
შვების ანგზე მოწყობილი
სოოცნებო ტურფა მხარე.

—

ფრინველების ჟრიამული
ვღლებოდა გარს ყველგანა
და, ვით მძივი მარგალიტის,
ციმციმებდა ეს ქვეყანა.

—

გეფიცებით—ხალხი ვპოვე
ბედნიერი, კმაყოფილი:
მათ ნაშრომი—ყოველივე
ძმურად ჰქონდათ გაყოფილი

—

ზედმეტისა მითვისება
არც ერთ მათგანს არ შეეძლო;
აკეთებდა ყველა იმას,
რაც სურდა და რაც შეეძლო,

—

ერთობით და სიყვარულით
ავსებილი ჰქონდათ გული,
გამიკვირდა მეტის მეტად—
ვერვინ ვპოვე დატანჯული!..

—

ყველგან ძმობა და ერთობა
რიგზე იყო მოწყობილი;
ამგვარ ხვედრით, უნდა გითხრათ
ხალხი იყო კმაყოფილი!..

—

გულს იმედი ჩამესახა,
ვსთქვი „ესაა ის ქვეყანა!..
ალბათ გაჰქრა ძველის ძველი
და ახალი დადგა ხანა.-

—

ამ მოვლენამ სანატრელმა
სიხარული მაგრძნობინა
და როდესაც ვაპირებდი
ღვთისთვის მსხვერპლი მიმეტანა,

—

გამეღვიძა... აღარ იყო
ის ქვეყანა მშვენიერი!
და ისევ ბნელათ იყო
მთლათ მოცული ჩვენი ერი...

—

მზის სინათლეს არ უშვებდა
დაშვებული შავი ფარდა
და ცხოვრება მოშხამული
ძველებურად ისევ ყარდა...

—

გადვიქეცი, ყურს მომესმა
საამური ნელი ხმები:
ადე, ადე, მეგობარო!
მაგ საბანში რაღას ძვრები!

—

ადე, ადე, ნუ გვიანებ,
სადაც არის გათენდება...
მზე დიადი გაიშურებს
და მერცხალიც მოფრინდება!“

გრ. იმერელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

**ნაუენი.** ივლის. 31. გერმანულ ყრილობაზე კონსტიტუციის პროექტი განიხილეს. დეპუტატმა კონმა განაცხადა, რომ ის უარს აცხადებს კონსტიტუციის პროექტის მიღებაზე, რომელიც ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების გამომხატველი არ არის. შეუცვლელად იღებენ კონსტიტუციის პირველ მუხლს, რომ გერმანიის სახელმწიფო ძალა უფლება ეკუთვნის ხალხს. მიიღეს მუხლი ეროვნულ დროშის ფერების შესახებ, ეროვნულ ფერებად ცხადდება: შავი, წითელი და ოქროს ფერი. დროშა შავი წითელი ფერისაგან იქნება. ზემო ყურეში სახელმწიფო ფერებით მიიღეს 3 მუხლი, რომელიც სახელმწიფო მთავრობას ნებას აძლევს გერმანიის ცალცალკე სახელმწიფოების დაკანონებას ვეტო დაადოს.

**ნიკოლაევი.** ივლ. 30, რუმინიის გაზეთების ცნობით საზერძნეთის გენ. მონტენეროსმა, რომელიც თავის ჯარით ბესარაბიის ფრონტზე მოქმედებდა, მოწერილობა მიიღო ჯარის ევაკუცია მოახდინოს.

**ჰელსინგფორსი.** ივლ. 28- ინგლისის გაზეთების ცნობით, ქვემო პალატაში ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ ნახშირის მალაროების გაფიცულ მუშების რიცხვი 38,000 უდრის. გაფიცვების მიზეზია— პირველ საჭიროების ნივთების სიძვირე.

**ლიონი.** აგვისტოს 1. საფრანგეთში ყველა დარწმუნებულია, რომ პუანკარეს მოადგილე კლემანსო იქნება, რადგან კლ. განაცხადა, რომ პარლამენტში ახალ არჩევნების შემდეგ ის მინისტრ პრეზიდენტის ადგილს დასტოვებს. მომავალ პრემიერის საკითხი იბადება. ამ ადგილზე ნამდვილ კანდიტატათ ითვლება ბრიანი, სხვა კანდიდატებათ ვივიანი და ტარდიე ითვლება.

**სამხედრო ცნობა.** ფსკოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა რამდენიმე სოფელი. მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენ დაბა გოროდოკი დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ ტყვეები, 3 ტყვიის მფრქვეველი. ნოვგრუდის მიმართულებით ჩვენ დერევნო დავიჭირეთ. ჩვენ პროსკუროვი დავსტოვეთ.

**მოსკოვი.** (გაგრძელება) ურალ-ორენბურსკის რაიონში ვერხნიურალსკიდან 20 ვერსზე ოთხასი ტყვე წამოვიყვანეთ. ტროცკის რაიონში ჩვენ წინ წავიწიეთ: ჩელიაბინსკის მიმართ. ბრძოლაა.

**სამარა.** ივლ. 31 ასტრახანის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, ვლადიმიროვკიდან მტერი განდევნა. მტრის ჯარის ერთი ნაწილი დაიღრჩო, დანარჩენებს ვსდევნით, ხელში ჩავიგდეთ დავლა.

**დასავლეთის ფრონტი.** ლუგის რაიონში სად. პლიუშჩიკის დასავ. ჩვენ 90 ტყვედ წავიწყვანეთ. ფსკოვის რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ ვილნის მიმართულებით ჩვენ გაროდოვი დავიბრუნეთ. მოგილევ-პოდოლის მიმართ ჩვენ ქ. იამპოლი და ვაშნიარკა დავსტოვეთ.

**სამხედრო ფრონტი.** ჩვენ პოლტავა დავსტოვეთ და დასავლეთით ვიბრძოდით კალაჩის მიმართ. გეროხოვთან მტრის ცხენოსანი რაზმი დავამარცხეთ.

**აღმოსავლეთის ფრონტი:** ურალ-ორენბურგის მიმართ ჩვენ 300 ტყვე წამოვიყვანეთ.

**უკრაინის სამხერო ცნობა.** ოჩაკოვის რაიონში დროგაბოშვებით საარტილერიო ბრძოლაა, ჩვენმა ჯარმა გაივორენკა და ბეზიმანკა დაიჭირა. ხოტნიჟკის რაიონში სოფ. ზელენკაია და სად. ბორისოვკა დაიჭირეთ.

**ჰელსინგფორსი.** ივლ. 28. ინგლისის გაზეთი „დეილ-ჰარალდი“-ს ცნობით მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ თითქოს დაადგინა საბჭოთა რუსეთის ბლოკადის მოხსნა. საბლოკადო კომისიის აზრით, რუსეთის ბლოკადა გერმანიასთან ზავის შეკვრის შემდეგ უნდა მოხსნილიყო, რადგან რუსეთი არ არის ომის მდგომარეობაში. ოთხთა საბჭო განსაკუთრებით მოითხოვდა რომ, იმ შემთხვევაში თუ საჭიროთა რუსეთის ბლოკადა მოიხსნებოდა რუსეთს არ უნდა მიეღო გარედან იარაღი და სამხედრო მასალა.

**ნაუენი.** ივლ. 31 რეველის გაზეთები იუწყებიან, რომ ლონდონში გადაწყდა საკითხი ესტლიანდია ინგლისის კონტროლის განახლების შესახებ. ინგლისელების მიერ ეზელის ოკუპაცია სწორედ ამის გამო მოხდა.

**ნიკოლაევი.** ივლ. 30. ფრანგულ სლავიანების მთავარ სარდლობამ განაცხადა, რომ ის ადგილები სადაც აჯანყება მოხდება ყოველ მოკლულ სლავინეთის ჯარის კაცზე იმ სოფლის 25 მცხოვრებს დახვრეტენ. კლემანსო უკმაყოფილოა.

## წერილი სამეგრელოდან.

პატივცემულ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ სამეგრელოში სიმინდის მოსავალი ძალიან კარგი იცის. შარშან აქ კარგი მოსავალი იყო, მაგრამ წელს კი საუბედუროდ ხშირმა წვიმებმა გაანადგურა ნათესი. უფრო ცხენის წყლის ახლო მახლო სოფლებში. ცხენის-წყლის მიდამოებში მდებარე ყანები დაფარულია წყლით. ასე, რომ მოსავალი წელს ნაკლებია სამეგრელოში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს სოფლები მოკლებულია კულტურულ დაწესებულებებს· არ მოგვეპოება შკოლები. სამკითხველოები და სხვა მრავალი რომელიც აუცილებელია საშუალო განათლების მისაღებად.

მაშინ როდესაც რუსეთის შავი რეაქცია ჰფლობდა ჩვენ ქვეყანას ჩვენი სურვილი, რომელიც მიისწრაფებოდა კულტურისკენ უხმოდ კვდებოდა. დღეს კი, როდესაც მოგვევლინა თავისუფლება და ვეღირსეთ საქართველოს სუვერენობას არავითარი განსხვავება არ არის ძველ დროსა და ახალ დროში ამ მხრივ. ჩვენ უფრო მეტს მოვითხოვდით საქართველოს რესპუბლიკის მესვეურთაგან.

უნდა ითქვას, რომ სოფლებში გამოსადეგარია სამეურნეო შკოლები, ვინაიდან აქ თვითოეული მოწაფე კარგათ შეიგნებს და შეისწავლის, როგორც წერა-კითხვას აგრეთვე სამეურნეო საკითხებს.

სამკითხველოები ხომ იშვიათად მოგვეპოება და ამისათვის არ ზრუნავს სამაზრო ერობები. აშკარათ უნდა ვაღვიარო, რომ გლეხი, რომელმაც იცის ასე თუ ისე წერა-კითხვა, სამკითხველოების დაარსებას აღფრთოვანებით შეხვდება ვიდრე პარტიულ ბიუროს დაარსებას.

ზემოთ აღვნიშნე, რომ სოფლებში გამოსადეგარია სამეურნეო შკოლებით ქვა.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ უნდა გაიგზავნონ ისეთი მასწავლებელნი, რომელნიც აღჭურვილნი იქნებიან პედაგოგიური ცოდნით. და არა ისეთები, რომელთაც ოთხი კლასი გაათავეს და ეხლა დაიარებიან სამასწავლებლო კურსებზე. ეს ხაზ გასმით უნდა ვსთქვათ, რადგან საშუალო კლასიკურ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შემოქმედებაში.

დასასრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ ყოველივე ამას ყურადღებას მიაქცევს როგორც მთავრობა აგრეთვე სამაზრო ერობები.

ა. გაბესქირია.

## კორესპოდენცია.

**თერჯოლის საზოგადოება.** (შორაპ. მაზრა) აგერ ერთი თვე გადის, რაც ქუთაისის მაზრაში წვრილი სას. საერობო ერთეულების არჩევნები მოხდა. ნეტავ რა დააშავა ამ დროს, შორაპნის მაზრამ?; რათ იგვიანებს ეს მაზრა ერთეულების არჩევას? მაშინ როცა სოფელს ესაჭიროება დახმარება როგორც მატერიალურად ისევ ზნეობრივად, მაშვინ როცა გზები გაფუჭებულია, ათასნაირი ავადმყოფობაა როგორც ადამიანის, ისე საქონლის და ყველა ამაებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს მაზრის ერობა (ყოველი წვრილმანის საქმის გასაკეთებლად მ. ერობას სად სცალია) უნდა დაჩქარებულ იქმნას წვრილი სასოფლო საერობო ერთეულების არჩევნები. დიდათ სასარგებლო იქნება სოფლისათვის მათი დაჩქარებით არჩევა. დღეს თერჯ. საზოგადოებაში თითქმის ყოველი სახლის წინ შეხვდება ადამიანი საქონლის კელსა, რომელიც ძლიერ ცუდს სუნს უშვებს და სწამლავს ჰაერს. ასეთ სიცხეებში როგორც ივლისშია. ამ სუნისაგან და სხვა ათასგვარი უსუფთაობისაგან გაჩნდება კიდევ სხვა ავადმყოფობა. თუ აქამდი მძინვარებდა ტიფი, და ჯერ კიდევ არ გამგზავრებულა, მოსალოდნელია ხოლერის გაჩენაც. ამიტომ ვსთხოვთ რაც შეიძლება დაჩქარებულ იქმნას არჩევნები.

მე ვფიქრობ, რომ საქმიანი კაცების არჩევით გამოსწორდება სოფლის ბრუნდი გზები...

ვ. გუთნურისპირელი.

## გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ფონდისათვის.

მძიმე პირობებში [illegible] გაზეთის გამოცემა.

სიძვირის გამო გაზეთის დეფიციტები ყოველდღიურად იზრდება.

საჭიროა თანამგრძნობთა დახმარება შემოწირულების შეგროვების სახით.

მოუწოდებთ მკითხველებს და პარტიის წევრებთ, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში შეაგროვონ შემოწირულებანი ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

პარტიულ ახალგაზდებს ვსთხოვთ გამართონ პროვინციებში საღამო-წარმოდგენები და შემოსავალი გამოგზავნონ გაზეთის სასარგებლოთ.

პარტიის ყველა წევრი ვალდებულია დაეხმაროს თავის ინტერესების დამცველ ორგანოს.

მოქალაქენო, გაიღეთ თქვენი წვლილი დაეხმარეთ თქვენს გაზეთს.

გააძლიერეთ გაზეთის ფონდი.

გაზ. „ჩვენი ქვეყანას“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ანონსი

9 აგვისტოს

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ფონდის გასაძლიერებლათ

საზაფხულო საკრებულოში

გაიმართება

# დიდი საღამო

## განცხადება.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს **ერობის ხმოსანთა საყურადღებოთ**, რომ ამა წლის 7 აგვისტოს დღით ხუთშაბათს დილის 11 საათზე ერობის ბინაზე **დანიშნულია ქუთაისის სამაზრო**

ერობის ხმოსანთა **ყრილობა.**

**დღის წესრიგი:**

1. ხონის რკინის გზა,
2. დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა,
3. ცენტრი და ერობათა ყრილობაზე წარმომადგ. არჩევა,
4. შტატების გადასინჯვა,
5. მილიონ-ნახევრიანი სესხის საკითხი,
6. მიმდინარე კითხვები,
7. გამგეობის წევრის არჩევა.

**გამგეობა.**

## მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

**ქუთაისში მოდის.**

**თბილისიდან.**

პირდაპირი № 3—5 ს. და 50 წ. დილით
ჩქარი № 1—7 — 80— —
საფოსტო № 3—7 ს. — 40— საღამ.
სამგზავრო № 15-1 ს. — 50— ღამით

**ბათომიდან.**

პირდაპირი № 72—1 ს. და 30 წ. დღით
სამგზავრო № 6—5 — — — დილ.
ჩქარი № 2—1— — 50 წ. ღამ.

**ფოთიდან.**

პირდაპირი № 36—8 ს. და 28 წ. დილ.
საფოსტო № 4—12 ს. — 55 წ. —

**ტყიბულიდან.**

სამგზავრო № 81—10 ს. და 20 წ. დილ.
საფოსტო № 3— 5 ს. — 30 წ. საღ.

**ქუთაისიდან გადის.**

**თბილისისაკენ.**

პირდაპირი № 12 -11 ს. და 47 წ. საღამ.
ჩქარი № 2—10 ს. და 2 წ. საღამ.
საფოსტო № 4—10 ს. — 10 წ. დილ.
სამგზავრო № 6— 3 ს. — 17 წ. ღამით

**ბათომისაკენ.**

პირდაპირი № 44—4 ს. და 40 წ. დღით
სამგზავრო № 5 3 ს. — 30 წ. ღამით
ჩქარი № 1—6 ს. — -- წ. დილ.

**ფოთისაკენ.**

პირდაპირი № 35 -3 ს. და 25 წ. დღით
საფოსტო № 3—5 ს. და 50 წ. დილ,

**ტყიბულისაკენ.**

საფოსტო № 4—7 საათზე დილას.
სამგზავროს № 82—4 ს. 4 წ. საღამოსი

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

ქუთაისი, სტამბა „ძმობა“, პუშკინი სქჩა, სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.